

დადგენილება № ცვ-0859-22  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

13 იანვარი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 13 იანვარი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განხილვა საქმე:

ინდივიდუალური მეწარმე „გრიგოლ ჯამაშურია“, საიდენტიფიკაციო № 02001000233, დაბ. 1977 წლის 7 ოქტომბერს, იურ. მის. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყვირი, ფაქტ. მის. ქ. ქუთაისი, ბუკიას ქ. № 68.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 6 იანვარს, ქ. ქუთაისში, ბუკიას ქ. № 68-ში, ინდ. მეწარმე „გრიგოლ ჯამაშურიას“ აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს მრიცხველის კორპუსის სახურავზე დადებული ჰქონდა მაგნიტი, რომელიც იწვევდა მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის გაჩერებას. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენდა 10,9 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. გრიგოლ ჯამაშურიას მიმართ 06.01.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 008474 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ მისთვის ცნობილია დარღვევის თაობაზე და აღნიშნული მომავალში აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. გრიგოლ ჯამაშურია არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 06.01.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A887244, რომლითაც დასტურდება გრიგოლ ჯამაშურიას მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი),



სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

რომელთა მეშვეობით დგინდება გრიგოლ ჯამაშურიას მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც გრიგოლ ჯამაშურიამ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228<sup>2</sup>-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ინდივიდუალური მეწარმე „გრიგოლ ჯამაშურია“, საიდენტიფიკაციო № 02001000233, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: \_\_\_\_\_

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,  
კომისიის თავმჯდომარე